# ხელშეკრულება №32

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

8 აგვისტო 2016 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ ა(ა)იპ **"ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო,** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **მიხეილ ღურწკაიას** სახით და მეორეს მხრივ შპს **,,G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი "** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მიჩიტაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგოში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ავტომანქანა MERSEDES VIANO. TQ-505-QT შეკეთება და ტექნიკური მომსახურება. ( CPV50112000)

2.2 მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1

### 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - 480,00 (ოთხასოთხმოცი ლარი) ლარს;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (ლარი);

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე;

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ა(ა)იპ ,,ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო''-ს ლოჯისტიკის მენეჯერი მამუკა მაჭარაშვილი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს ,,**G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი** " -ს დირექტორი.

### 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ქ. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ.№181

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი სათანადო ხარისხით.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით; ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა - წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი

შემსყიდველი მიმწოდებელი

მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე;

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან მოქმედებს 2016 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

## 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

### მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| **ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“**<br>მის: ქ. რუსთავი, კოსტავას. №18<br>ს/კ 416301978<br>მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი“<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ა № GE30TB7953336080100001<br>აღმასრულებელი დირექტორი:<br>_______________<br>მიხეილ ღურწკაია | შპს ,,G&G MOTORS გ ენდ გ მოტორსი ”<br>მის: ქ. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა 181<br>ს/კ 406110435<br>მიმღები ბანკი ს.ს „პროკრედიტ ბანკი“<br>ბანკის კოდი MIBGGE22<br>ა/ა № GE56PC0133600100061301<br>დირექტორი<br>_______________<br>გიორგი მიჩიტაშვილი |

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი #1

## მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

| # | მომსახურების ფასები | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | საწვავის ნასოსის აღდგენა შეკეთება | 1 | 480.00 | 480.00 |
| | ჯამი | | | 480.00 |

შემსყიდველი

მიმწოდებელი